24
F75 N 6640
სახ. სამ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 251 (20292) — სამშაბათი, 1 ნოემბერი. 1988 წელი. — ფასი 3 კაპ.

ქვეყნის ახალგაზრდობის ენერგია — გარდაქმნას

ლენინური კომკავშირი 70 წლისაა. არა საიუბილეო მაღალფარდოვანი სიტყვებით, არამედ გარდაქმნის საკეთილდღეო რეალური საქმეებით ეგებება ჩვენი ახალგაზრდობა თავის დღესასწაულს. ახალგაზრდობის ენერგია, მისი გატაცება, დიდი, დამოუკიდებელი მიღწევებისადმი მისწრაფება, უძრაობისადმი, ყოველივე იმისადმი შეურიგებლობა, რაც უკან გვიწევს, — აი ახალგაზრდობის ლენინური კავშირის ნიშან-თვისებები, რომლებსაც განახლების დრო, იმედების დრო აღორძინებს.

თავის ჭეშმარიტ აზრს იძენს კომკავშირისადმი ხელმძღვანელების ლენინური ტრადიციები. პარტიას მიაჩნია, რომ სოციალიზმის ნამდვილი დემოკრატია, ფართო სახალხო ხელისუფლება ქვეყნის ახალგაზრდა თაობას აძლევს ისტორიულ შანსს გამოიჩინოს თავი სამშობლოს ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე.

როგორ გამოიყენონ უფრო სრულად კომკავშირის მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი პოტენციალი? ეს საკითხი ახლა მთავარია კომკავშირისათვის, გადამწყვეტია თითოეული მისი უჯრედისათვის. სწორედ იგი გახდა ცენტრალური საკითხი დედაქალაქის ახალგაზრდობასთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრის დღის წესრიგში.

„მოსკოვის კომკავშირი — საკავშირო ალაქ 70 წლისთავის შესახვედრად“ — ასეთია დევიზი ესკოზიციისა, რომელიც მოწყო მოსკოვის ახალგაზრდობის სასახლის დარბაზებში, სადაც 29 ოქტომბერს გაიმართა ეს შეხვედრა. უაღრესად საქმიანი გამოფენა, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ პარადულობას, საიუბილეო თვითანგარიშს, — ყოველივე ამან ერთბაშად შექმნა მოსკოვის კომკავშირელებთან მახვილ გორბაჩოვის საქმიანი ამხანაგური დიალოგის ატმოსფერო. სკა-ბაასის ერთ-ერთი ცენტრალური თემა იყო კომკავშირის ცხოვრებაში თვითმოქმედების საწყისების ფართო განვითარება. ისინი შეხამებული უნდა იყოს დიდ ორგანიზებულობასთან, სიტყვისა და საქციელისათვის პასუხისმგებლობასთან. სწორედ ეს არის კომკავშირული ინიციატივების მნიშვნელობის ჭეშმარიტი საწყალი.

ეს ინიციატივები კი ახლა განსაკუთრებით სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, ეკონომიკის რადიკალური გარდაქმნა, საარენდო საწყისების განვითარება სოფლად და ქარხნის საამქროში, კოოპერაციის ჩამოყალიბება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, საზოგადოების სულიერი განახლება — აი რა არის დღეს გარდაქმნის მოწმინავე ხაზები, რომლებზეც ქვეყანა მოელის ენერგიულ ახალგაზრდა მებრძოლებს. ამაზეა სკა-ბაასი გამოფენის ყველა განყოფილებაში — „ახალგაზრდული პოლიტიკა“, „ახალგაზრდობა შრომითს მიჯნებზე“, „80-იანი წლების სტუდენტები“, „ახალგაზრდობის სამეცნიერო ტექნიკური შემოქმედება“. ისინი ისეა აგებული, რომ ყოველ ახალგაზრდა კაცს შეუძლია მიიღოს აქ კონკრეტული რჩევა-დარიგება. გინდა სასარგებლოდ გაატარო ზაფხული? აირჩიე ერთ-ერთი რამდენიმე ათეული სტუდენტური რაზმიდან. არის მატერიალური სიძნელეები? ჩაიწერე მისამართი, სადაც შეიძლება ფული გამოიშუშაო. ოჯახს მოკიდე? შედი ახალგაზრდულ სანინო კომპლექსში. მარტო მოსკოვში მას 45 ათასი წევრი ჰყავს. და გაიგებ, რომ ეს არ არის მხოლოდ ტერი. დღეს ეს ცხოვრების სტილი ხდება: უკვე ახალგაზრდული სახლებისა და მთელი უბნების მშენებლობის პერიოდში იქმნება მოყვარულთა გაერთიანებები, ინტერესთა მიხედვით კლუბები, მოცალეობის ცენტრები.

თავისი პოლიტიკური კავშირის რადიკალური განახლებისადმი მისწრაფებაში ქვეყნის ახალგაზრდობას არასოდეს არ უფალატია და არ უფალატებს საკავშირო ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის საუკეთესო ტრადიციებს. ეს ცოცხალი კავშირი ამაღლებულად განსახიერდა ლენინის დარბაზში კომკავშირის ეგეტერანებთან გამართულ საუბარში.

შემდეგ კი სასახლის დიდ დარბაზში შეიკრიბა ამ დღესასწაულზე მოწვეული ყველა ქალაქელი და ქალაქელი, მათ სიტყვით მიმართა მ. ს. გორბაჩოვმა.

ახალგაზრდობასთან საუბრებში მონაწილეობდნენ ალრეთვე ამხანაგები ლ. ნ. ზაიკოვი, ვ. ა. მედვედევი, გ. პ. რაზუმოვსკი, საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. მირონენკო, საკავშირო ალკა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ს. ა. სმირნოვი.

კონცერტში, რომელიც შეხვედრის შემდეგ გაიმართა, გამოვდნენ ახალგაზრდული თვითმოქმედი კოლექტივები.

შეხვედრის შესახებ დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთებში.

(საკადესი).

სურათზე: მ. ს. გორბაჩოვი დედაქალაქელ ახალგაზრდებთან.

საკადეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ეს ჩვენი ქალაქია

ის-ის იყო მზე ამოწყვარა და ხალხები მოპფინა საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ქუჩებს, რომ ხალხმა დაიკიწყა თავისი ყოველდღიური საზრუნავი და ძველი ქალაქის უბნებს მიაშურა, სადაც ფეხი აედგა თბილისელს. წარუვალი ღირებულებანი აერთიანებენ ადამიანებს დღევანდელობისათვის, პროგრესისა და მომავალი განახლებისათვის.

სწორედ ამტომაც დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიცია — თბილისობის მთავარი დღე გაიმართოს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე. ახე იყო ამჯერადაც. 80 ოქტომბერს ვ. ი. ლენინის ძეგლთან მივიდნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, რესპუბლიკის დედაქალაქის სტუმრები.

ბელადის სახელობის მოედანი საზეიმოდ არის მორთული. კუჭანტების ხმა აფეწყვს ყველას

აქა მეუბიდოდა

ფართოდ გახსნა გულის კარი ძმობის მოედანმა და მიიპატეკა დღესასწაულის მთავარ მოვლენაზე ათასობით თბილისელი და საქართველოს დედაქალაქის სტუმარი. შემოდგომის მზის სხივებზე ათასფრად ელვარებდა საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული სანპირო და სიცოცხლეს დაბრუნებული ძველი თბილისური სახლები, სადაც უამრავი ადამიანი გამოსულიყო. მათი ღია აივნები, ტერასებივით რომ შეჰფენოდა მთებს, ალადგენდნენ თითქოს მხატვართა სურათებიდან გადმოსულ ძველი ქალაქის მომხიბლავ სურათებს.

ზუსტად ნაშუადღევს გაისმა თბილისობის მოხმობის ნიშნები. მოკროფონთან მიდის პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე.

— დღეს, — თქვა მან, — გულითადად გიოლიცავთ, ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი სახელოვანი დედაქალაქის დღეობას. ფეხმედინური ყოფილიყოს იგი ყოველი თქვენგანისათვის, ვალაც ერთგულ მეგზურად გაგყოლოდეთ სულის მხნეობა, ეფექციური შემართება და ოჯახური კეთილდღეობა.

თბილისობას იმთავითვე დაჰყავა თავისი ეშხი და მიმზიდველობა. წლეგანდელი ზეიმის გამორჩეული თავისებურებაა ის სულისკვეთება და ატმოსფერო, რომელსაც ჩვენში სულ უფრო ძალუმად ამკვიდრებს დროის ახლებური ქროლვა, რევოლუციური განახლების შეუქცევადი პროცესი.

თბილისელები არც ამჯერად მოსულან ხელცარიელნი საყვარელი ქალაქის დღეობაზე. მეტ შინ და ლაზთი შემატეს დედაქალაქს აღორძინებულმა ხეოთომოდღურულმა ნაგებობებმა, განახლებულმა ქუჩამ თუ მოედანმა, დიდი დავთი ალმაშენებლის სახელით წოდებულმა პროსპექტმა. ამბერიდან მისავე სახელობის ხეიანთი შემობრძანდებიან ჩვენი სტუმრები.

იმ ადგილს, სადაც ახლა გიმაფფებთ, ძმობის მოედანი ჰქვია. სამშობლოს საყვარელნო, ძმობამეგობრობის მადლი ადუღებებდა თბილისის სიმბოლურ გალავანს, იგი ალადგენდა მტერთა მიერ დაფერფლილ საქართველოს უპირველეს ქალაქს.

დღეგანდელი თბილისობა, დღესასწაულზე სტუმრების ჩამოსვლა მკაფიოდ ადასტურებს ამ მეგობრობასა და ძმობას, ჩვენს ერთათანობას. საბჭოთა ადამიანების საქმეთა, ფიქრთა და გრძნობათა ერთიანობამ ჩამოიყვანა თბილისში სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ბაკოდან, ერევნიდან, კიშინიოვიდან, სვერდლოვსკიდან, ტომსკიდან, კრასნოდარის მხარის სტანიცა ტბილისკაიადან, ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს სხვა კუთხეებიდან.

ახლანდელ დღესასწაულს განსაკუთრებულ ელფერს მატებს ვიეტნამიდან და გეიმანეთის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსული მეგობრების, დამოყვრებული ქალაქების — ზაარბრიუკენის და ინსბრუკის დელეგაციების, ესპანეთის ბასკეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, იტალიიდან და იაპონიიდან ჩამოსულ სტუმართა მონაწილეობა. თბილისელები გულწრფელ მადლობას უძღვნიან და სულითა და გულით მიეესალმებიან სტუმრებს.

და აი, დღესასწაულის აპოთეოზი: ცხადდება თბილისის ახალ საპატიო მოქალაქეთა სახელები. ეს საპატიო წოდება მიენიჭათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მარიამ ლორთქიფანიძეს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის მსახიობს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს მედეა ჯაფარიძეს, გაზეთ „იზვესტიის“ პოლიტიკურ მიმოხილველს, ტოლსტოისა და ვოროვსკის პრემიების ლაურეატს მელორ სტურუას, „თბილისგვირაბმშენის“ ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელს, სოციალისტური შრომის გმირს ალექსანდრე დათაშვილს, თბილისის „დინამოს“ ლეგენდარულ თავდამსხმელსა და კაპიტანს, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბორის პაიჭაძეს, ვეტერან მეტრომშენებელს, სოციალისტური შრომის გმირს ვეტერო გოცირიძეს, რომელიც მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა „თბილისგვირაბმშენის“ კოლექტივს.

მრავალკამიერის ხმებში გ. გ. გუმბარიძემ და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ო. ანდრიაძემ დიპლომები და სამახსოვრო მედლები გადასცეს ქალაქის ახალ საპატიო მოქალაქეებს, გულთადად მიულოცეს მათ.

— მე ბედნიერი ვარ, — თქვა მარიკა ლორთქიფანიძემ, რომელმაც ახალგაზრდა ისტორიკოსთა არაერთი თაობა აღზარდა, — რომ ჩემმა მეცნიერებამ შრომამ ესოდენ დიდი შეფასება დაიმსახურა. ეს დიდი ჯილდო ბევრ რამეს მავალებს და მზად ვარ კვლავაც უანგაროდ ვემსახურო ჩემს ერს, ჩემს მამულს, საყვარელ ქალაქს.

— ჩემი ასაკის კაცს, — გაგვიზიარა თავისი ახრი 77 წლის შრომის ვეტერანმა, პერსონალურმა პენსიონერმა არჩილ შეყონიძემ, — აქვს უფლება საქვეყნოდ ილაპარაკოს ქალზე, თანაც ისეთზე, რომელიც ბუნებამ უხვად დაჯილდოვა უზადო სილამაზითა და ნიშნით. სულ პატარა ვიყავი, როცა დედა დავკარგე, მეხსიერებას ბუნდოვნად შემორჩა მისი სახე. მაგრამ, როცა მინდა დედაჩემი წარმოვიგონო, უნებურად მას მედეა ჯაფარიძეს ვუკავშირებ. ასე მგონია, დედაჩემიც ასეთი უნდა ყოფილიყო. — ნაზი და ალერსიანი, ჭკვიანი და მბრძანებელი, კეთილი და ერთგული, როგორიც არის ქალბატონი მედეა დედის როლში თავისი შვილის ლაშა თაბუკაშვილის პიესაში „ძველი ვალი“. სულიერად ამაღლებულმა და წმინდამ — ჩვენმა სახელოვანმა მსახიობმა ქალმა შშობელი ხალხის საყოველთაო სიყვარული მოიხვეჭა.

— ეს ყველაზე ნათელი დღეა ჩემს ცხოვრებაში, — აღიარა მ. სტურუამ, — ჩვენ ყველანი ჩვენი მამულის ნაწილები ვართ. კარგია, როცა ყოველი ეს ნაწილი ხარკს უხდის მშობელ ხალხს.

— ქალაქის დღესასწაულის აღნიშვნა კეთილი საქმეა, — თქვა. ა. დათაშვილმა. — იგი გვეხმარება არა მარტო შეეგნარჩუნოთ და ვამრავლოთ ჩვენი ტრადიციები, არამედ კარგ შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდობასაც ეზიაროს უფროსი თაობის გამოცდილებას, ბევრი რამ სასარგებლო შეიძინოს ამ ტრადიციებით. ეს განსაკუთრებით საგრძნობია დღეს, როცა ჩვენი რესპუბლიკა, ისევე როგორც მთელი, ქვეყანა, განახლების ხანას განიცდის, ხოლო ახალგაზრდა თაობა სულ უფრო აქტიურ პოზიციას იკავებს.

ვ. გოცირიძემ მოულოცა თავის კოლეგას და გაიხსენა, რომ მათ — საქმმართველოს ბრიგადირმა და უფროსმა — ერთად დაიმსახურეს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, და არ ყოფილა დღე, რომ მათ საქმით არ გაემართლებინოთ ქვეყნისა და ხალხის ნდობა.

— თბილისის საპატიო მოქალაქის წოდებამ ახალი ძალ-ღონე შეგვმატა, ყველა იმ ცვლილებისადმი წილისყარობის სასიკეთოდ გრძნობით ადგავსო, დღეს რომ ხდება ჩვენს ქალაქში, ჩვენს ცხოვრებაში.

სიტყვა ეძლევა კოტე მახარაძეს:

— ბორის პაიჭაძე ყოველთვის სამგალითო იყო და არის ჩემი თაობისათვის. ჩვენს აღტაცებას იწვევდა მისი არა მარტო სპორტული მიღწევები, არამედ უწინარესად ადამიანური თვისებები. ჩვენ შესანიშნავად ვიცოდით, რაოდენ სიკეთისა და გულითადობას, ვეჭაკაობასა და სიმამაცეს ამჟღავნებდა იგი უმძიმეს სიტუაციებში. თუნდაც ავიღოთ სულ უბრალო რამ: როგორ მიაბიჯებს კაცი ქუჩაში, ამაშიც ხომ ვლინდება ხასიათი. შეხედეთ ამ დროს ბორის პაიჭაძეს და თქვენ დარწმუნდებით — ეგი პიროვნებაა. ანდა, განა შეიძლება დაგავიწყდეს, როგორ მიჰკრიოდა ხოლმე ჩვენი საყვარელი თავდამსხმელი ქარისაკენ. მკითხეთ მე, და ზუსტად წუთობით დაგისახელებთ მის მიერ გატანილ გოლებს. ბორის პაიჭაძე ნამდვილი თბილისელია, რომლის ცხოვრება მთელი ეკოჰაა თბილისის „დინამოს“ ბიოგრაფიაში. იგი ახლაც ერთგულად ეესახურება მას, და თავისი საქმის, ქალაქისა და ერის ნამდვილი სიყვარულის მაგალითს გვიჩვენებს.

მქსპურსია

დღესასწაულის

ქვეშანაში

ალო, ალო, დილიჟანია! რუბია...

— ვალიკო?! ვალიკოჯან, ეს შენ ხარ?

დამახასიათებელი ინტონაციები ეჭვს არ იწვევს, თუ ვის ეკუთვნის ხმები, რიყის მოედანზე რომ გისმა. ღიმილი, მოზეიმე ხალხს

(დასასრული 3ე-4 გვ.).

სურათზე: თბილისის ახლად არჩეული საპატიო მოქალაქენი — ბორის პაიჭაძე, მელორ სტურუა, ვიქტორ გოცირიძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე დათაშვილი და მედეა ჯაფარიძე.

ვ. ბენგზიერის და ჯ. ლომაკის („კომუნისტი“) ფოტო.

საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის ცნობა

დაჯაჩქაროთ ეკონომიკის გაჯანსაღების ტემპი

1988 წლის ცხრა თვეში საქართველოს სსრ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ

I. ზოგად-ეკონომიკური მაჩვენებლები

1988 წლის იანვარ-სექტემბერში გრძელდებოდა ეკონომიკის შემდგომი გაჯანსაღების პროცესი. უზრუნველყოფილია წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარება, უწინარეს ყოვლისა ინტენსიური ფაქტორების ხარჯზე. წარმოებული ეროვნული შემოსავალი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4,3 პროცენტით გაიზარდა, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება — 5,5 პროცენტით. გადაჭარბებით შესრულდა მოგების და სხვა დაგროვების საგეგმო დანაღებანი. ამას ხელი შეუწყო სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პრინციპების დანერგვამ.

გაიზარდა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, შესრულდა მოსახლეობის ფასიანი მომსახურების გეგმა. არსებითად გაფართოვდა კოოპერატივების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა.

ამავე დროს ეკონომიკის მთელ რიგ უბნებზე კვლავ არის დაძაბულობა. უზრუნველყოფილი არ არის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების სტაბილურობა. ეროვნული შემოსავალი უფრო ნაკლები ტემპით იზრდება, ვიდრე გეგმით იყო დასახული. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში შენილდა სარეწველო პროდუქციის გამოშვება, მკვეთრად გაიზარდა მისი უკმაყოფილება ხელშეკრულებისა და შეკვეთების მიხედვით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რესურსდაზოგვა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება ჯერ კიდევ არ გამხდარა ეკონომიკური ზრდის გადამწყვეტი ფაქტორები.

ბევრ საწარმოში ხელფასის ზრდა უსწრებდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას. მოსახლეობის ფულადი შემოსავალი მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი საქონლითა და მომსახურებით. კვლავ მწვავეა იაფ ნაწარმზე მოთხოვნის დაკმაყოფილების პრობლემა. მისი გამოშვება შემცირდა. ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა კვლავ მერყეევა.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მაჩვენებლებს 1988 წლის ცხრა თვეში ახასიათებს შემდეგი მონაცემები (მატება პროცენტობით):

	1988 წლის იანვარ-სექტემბერში 1987 წლის იანვარ-სექტემბერში	ცნობისათვის: 1987 წლის იანვარ-სექტემბერში 1986 წლის იანვარ-სექტემბერთან შედარებით
წარმოებული ეროვნული შემოსავალი	4,3	...
მრეწველობის პროდუქცია	3,3	2,2
მეცნოველეობის პროდუქტების შესყიდვა:		
პირუტყვი და ფრინველი (ცოცხალი წონა)	— 0,6	2,6
რძე	2,1	2,5
კვერცხი	0,8	1,7
ამოქმედება სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და საწარმოთა და ორგანიზაციათა ფონდების სახსრების ხარჯზე:		
ძირითადი ფონდები	— 1,1	— 10
საცხოვრებელი სახლები	— 2,4	1
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი—ცენტრალიზებული და საწარმო-ორგანიზაციათა ფონდების სახსრების ხარჯზე	8,1	5
საერთო სარგებლობის ტრანსპორტი		
ტვირთის გადაზიდვის (გაგზავნის) მოცულობა	მატება არ არის	4,9
საერთო სარგებლობის ტრანსპორტის მგზავრთბრუნვა	0,8	3,3
საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება:	5,5	...
შრომის ნაყოფიერება:		
მრეწველობაში	4,5	1,5
მშენებლობაში	6,5	1,7
რკინიგზის ტრანსპორტზე	6,2	6,1
მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი	— 1,5	1,9
სახალხო მეურნეობაში ხელფასის ფონდი	3,2	3,5
მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	4,7	1,6
კოლმეურნეობათა სახელგაღებრივი მეურნეობებში კოლმეურნეთა შრომის საშუალო — თვიური ანაზღაურება	5,2	4,0
მოსახლეობისადმი მისაცემლები და შეღავათები მოხმარების		
საზოგადოებრივი ფონდებიდან	6,9	6,9
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა (ფაქტობრივი ფასებით)	8,6	1,0
მოსახლეობის ფასიანი მომსახურება	12,6	13,7
მოგება სახალხო მეურნეობაში	20,6	— 6,7

პროდუქცია მთელ მრეწველობაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 279,6 მილიონი მანეთით გაიზარდა. საცალო საქონელბრუნვა და ფასიანი მომსახურების მოცულობა გადიდდა 439,6 მილიონი მანეთით.

სახელმწიფო ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებებისა და საწარმოთა და ორგანიზაციათა ძირითადი ფონდების სახსრების ხარჯზე ამოქმედდა 10 მილიონი მანეთით ნაკლები ძირითადი ფონდები, ვიდრე 1987 წლის ცხრა თვეში.

ფინანსური შედეგები. მოგების გეგმა იანვარ-სექტემბერში 2,6 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა, მიღებულია 41,7 მილიონი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

შემოსულობებმა სახელმწიფო ბიუჯეტში მოგების გადასახდელებისა და ბრუნვის გადასახადის სახით იანვარ-სექტემბერში 1848,1 მილიონი მანეთი, ანუ გეგმის 102,5 პროცენტი შეადგინა.

ამავე დროს სამრეწველო საწარმოთა და გაერთიანებათა 17,6 პროცენტი და საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა 19,6 პროცენტი ვერ ასრულებს მოგების გეგმებს, სამრეწველო საწარმოთა 4,3 პროცენტი კი ზარალიანია. ნელა მცირდება საწარმოთა და ორგანიზაციათა რიცხვი, რომლებსაც ზარალს უგეგმაზომენ, ესაა ... [illegible]

(გაგრძელება 3ე-4 გვ.).

გუშინ, დღეს, ხვალ

◆ ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

ვიზიტი დამთავრდა

მინსკი. 30 ოქტომბერს მინსკიდან გაემგზავრა მალა-შრომის პარტიის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ჟ. ე. დოს სანტუში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხანმოკლე სამუშაო ვიზიტად იყო საბჭოთა ხელმძღვანელობის მოწვევით.

▼▼

ვადაზე ადრე

ქუთაისი. ლითოფონის ქარხანამ თავი დაიდაწია ჩამორჩენას და მიმდინარე წლის ათი თვის გეგმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა. ლითოფონელები მიწოდების გეგმასაც გადაჭარბებით ანაღდებენ. მათ 27 ოქტომბრისათვის ზუგდიდის, ზესტაფონის, სამტრედიის, მაიაკოვსკის რაიონების დამკვეთებს მიაწოდეს ბევრად მეტი გოგირდი და სხვა პროდუქციე, ვიდრე ხელშეკრულება ითვალისწინებდა.

ქარხნის კოლექტივს, რომელიც ქალაქის საწარმოთა შორის ერთ-ერთი პირველი დადგა დიდი ოქტომბრის 71-ე წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე, გადაწყვეტილი აქვს ერთი თვით ადრე შეასრულოს მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა.

▼▼

საოქტომბრო ვალდებულებები გაანაღდეს

ჩოხატაური. სიტყვის ხალხია მეფრინველეობის გაერთიანების (დირექტორი — დ. ვახეიშვილი) მუშაკები, — ვადაზე ადრე გაანაღდეს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი 10 თვის ვალდებულებანი: 395 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიპყიდეს 480 ცენტნერი ფრინველის ხორცი. კიდევ უფრო სანაქებო შედეგები აქვთ კვერცხის წარმოებაზ-ჩაბარებაში; აწარმოეს 1.647 ათასი ცალი კვერცხი, საგეგმოზე 200 ათასი ცალით მეტი. წინასოოქტომბრო შეჯიბრება ამ თვეი ისახელეს მეფრინველეებმა გ. ვადაკაკორიამ, ლ. თავაძემ, ნ. პირაძემ, რ. ზაქარიაძემ, ბ. პატეიშვილმა და სხვ.

ჩოხატაურელ მეფრინველეებს გადაწყვეტილი აქვთ 7 ნოემბრამდე დარჩენილ დროში აწარმოონ სულ ცოტა 30 ცენტნერი ფრინველის ხორცი და 50 ათასი ცალი კვერცხი.

მეგობრობის ზეიმზე

გენიჩესკი. („კომუნისტის“ სპ. კორ. ტელეფონით). უკვე რამდენიმე დღეა მახარაძეთა დელეგაცია გენიჩესკში იმყოფება. ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა მეგობრობის, დიდი ძალა, მასინჯელთა ფულთაღი დამოკიდებულება სტუმრებისადმი.

ეს კიდევ ერთხელ წარმოჩინდა მეგობრობის საიუბილეო სალამოზე, რომელიც ქალაქის სპორტის სასახლეში გაიმართა.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის გენიჩესკის რაიკომის პირველმა მდივანმა ს. სირენკომ. სიტყვით გამოვიდნენ უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. გურენკო, პარტიის ხერსონის სოფლის კომიტეტის პირველი მდივანი მ. კუშნარენკო.

ჩვენი რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ანჩიბაძემ ილაპარაკა ორი მოძმე ხალხის იმ უკვდავ მეგობრობაზე, რომელიც ალერ ორმოცდაათი წელია აბშენებს ჩვენს დიდ ქვეყანას. მან გენიჩესკელებს გადასცა საქართველოს სსრ სამახსოვრო წიგნი ღრუბა.

ზეიმი მონაწილეებმა ნახეს ვიდეოფილმი „ჩაწერილი, ამ მეგობრობის ერთ-ერთი ინიციატორის, შრომის კოლმეურნეობის სპატიო თავმჯდომარის მიხაკო ორაგველიძის მისალმება.

ბ. ჩხაიძე.

დავაჩქაროთ ეკონომიკის გაჯანსაღების ტემპი

(გაგრძელება)

ვენ. არის შემთხვევები, როცა საწარმოები თავიანთ რენტაბელობას ზრდიან არა წარმოების სრულყოფის, არამედ პროდუქციის ფასების დაუსაბუთებელი გადიდების გზით.

კვლავ მნიშვნელოვანია საწარმოთა და ორგანიზაციათა რიცხვი, რომლებიც საკუთარი სპრესანი სახსრების დანაკლისით მუშაობენ, რომელიც წლის დამდეგთან შედარებით თუმცა შემცირდა, მაგრამ მიმდინარე წლის 1 იანვრისისათვის 598 მილიონ მანეთზე მეტს შეადგენდა, 11,3 პროცენტით შემცირდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ვადაგასული დავალიანება საწარმოთა შორის და სანაკო კრედიტებით და 1988 წლის 1 სექტემბრისათვის შესაბამისად 1484 და 1242 მილიონი მანეთი შეადგინა.

II. სოციალური განვითარება

მიმდინარე წელს გაძლიერდა ეკონომიკის სოციალური მიმართულება, გაგრძელდა ეკონომიკის შემობრუნება საბვითა ადამიანების საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ. სოციალურ-კულტურული სფერის მატერიალური ბაზის განვითარებისათვის ხუთწლედის დავალების დამატებით 1988 წლისათვის გამოყოფილია 67 მილიონი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი ბორკილდება სურსათოთი, სამრეწველო საქონლით მოსახლეობის მომარაგების, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი. გაიზარდა მოხმარების ფონდის წილი ეროვნული შემოსავლის შემადგენლობაში.

მოსახლეობის დასაქმება. სახალხო მეურნეობაში იანვარ-სექტემბერში დასაქმებული იყო 2178,7 ათასი მუშა-მოსამსახურე და 282 ათასი კოლმეურნე (გასული წლის შესაბამის პერიოდში — 2211,3 და 296,6). მეურნეობრივის ინტენსიურ მეთოდებზე და შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებით საწარმოო დარგის სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან გამოთავისუფლდა 20 ათასამდე კაცი. აქედან მეოთხედზე მეტი პენსიიზე გავიდა, დანარჩენები სამუშაოდ მოეწყვნენ სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში ან დადგიდნენ ინდივიდუალური და კოოპერაციული საქმიანობის სფეროში.

1 ოქტომბრისათვის ყველა სახეობის კოოპერატივში მუშაობდა 26 ათასზე მეტი კაცი. კოოპერატივებში დასაქმებულთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტს შეადგენენ მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც გადავიდნენ სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ან მონაწილეობენ კოოპერატივების მუშაობაში შეთავსების პირობებში.

ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის სფეროში დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 18 ათასი კაცი.

უმჯობესდება მართვის ორგანიზაციული სტრუქტურები. 1 იანვისისათვის რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური აპარატის მუშაკთა ფაქტობრივი რიცხვი შემცირდა 17 პროცენტით, მათ შორის ეკონომიკური უწყებებისა — 15 პროცენტით. წარადგინა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მართვის ახალი სტრუქტურები.

მოსახლეობის შემოსავალი. სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიურმა ფულადმა ხელფასმა შეადგინა 180 მანეთი გასული წლის შესაბამისი პერიოდის 172 მანეთთან შედარებით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებამ კოლმეურნეობების საზოგადოებრივ მეურნეობაში — 128 მანეთი 121 მანეთთან შედარებით.

სწრაფი ტემპით იზრდება ხელფასი საწარმოო დარგებში, ამასთან შრომის ნაყოფიერება უფრო სწრაფად იზრდებოდა. ამაგე დროს ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში ჯერ კიდევ იქნიათი ორი, როცა ხელფასის ზრდა არ უკავშირდება საქმიანობის საბოლოო შედეგებს, კვლავ არის შეუსრულებელი სამუშაოსათვის გასამრჯელოს მიცემის შემთხვევები.

მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მისაცემლები და შეღავათები მიიღო 2084 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 134 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე გასული წლის ცხრა თვეში.

გაფდიდდათ პენსიების მაქსიმალური ოდენობა კოლმეურნეობების წევრებსა და მათ ოჯახებს, რომლებსაც სულ ცოტა ათი წელია უხდიან მათ.

გაიზარდა სახსრები ობოლი ბავშვებისა და შშმაღლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სამედიცინო მომსახურების, აგრეთვე ცხოვრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. გაიზარდა ავადმყოფთა კვების, მედიკამენტების, მოწყობილობისა და ინვენტარის შეძენისათვის ხარჯების ნორმები ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში. 3 წლამდე ასაკის ბავშვთა მკურნალობისათვის ახლა წამალი უფასოდ გაიცემა.

განხორციელდა ღონისძიებანი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, აგრეთვე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებანი.

საოჯახო ბიუჯეტების გამოკვლევის მონაცემებით შშრომელთა საშუალო სულადობრივი ფულადი შემოსავალი გაიზარდა 1987 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და შეადგინა მუშა-მოსამსახურეთა შორის 126 და კოლმეურნეთა შორის 107 მანეთი თვეში. მოსახლეობამ გაადიდა კვების პროდუქტების შესყიდვის ხარჯები: მუშა-მოსამსახურეებმა — 4,7 პროცენტით, კოლმეურნეებმა — 8 პროცენტით. მუშა-მოსამსახურეთა შორის არასასურსათო საქონლის შესყიდვის ხარჯები გაიზარდა 17,8 პროცენტით, კოლმეურნეთა შორის — 1,2 პროცენტით.

მოსახლეობის ანაბრებმა საქართველოს სსრ შემნახველი ბანკის დაწესებულებებში 1988 წლის 1 ოქტომბრისათვის მიაღწია 5793,4 მილიონ მანეთს.

კვების პროდუქტებისა და არასასურსათო საქონლის წარმოება. იანვარ-სექტემბერში სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებამ (ალკოჰოლიანი სასმელების გარდა) შეადგინა 4,3 მილიარდი მანეთი (საცალო ფასებით) და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,1 პროცენტით გაიზარდა.

კვების უმნიშვნელოვანესი პროდუქტების წარმოებას ახასიათებს შემდეგი მონაცემები

	ფაქტობრივად 1988 წლის იანვარ-სექტემბერში	დაკვეთების შესრულება პროცენტში	1988 წლის იანვარ-სექტემბერი პროც. 1987 წლის იანვარ-სექტემბრთან შედარებით
ხორცი (სამრეწველო გამომუშავება) ათასი ტონა	63,8	100,3	90,8
ძეხველი, ათასი ტონა	27,0	105	104
ერბო-კარაქი, ტონა	892	135	79,4
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით, ათასი ტონა	189,8	101	101
ცხიმიანი ყველი, ათასი ტონა	16,4	101	98,9
საკვები თევზის პროდუქცია, მათ შორის თევზის კონსერვები, ათასი ტონა	42,3	85,9	129
მარგარინის პროდუქცია ათასი ტონა	32,4	100,4	111
მცენარეული ზეთი, ათასი ტონა	7,6	104	72,3
საკონდიტრო ნაწარმი, ათასი ტონა	49,2	102	104
ნატურალური ჩაი (ხარისხოვანი დაფასოებული) ათასი ტონა	83,7	105	104
კონსერვები, მილიონი პირობითი ქილა	594,7	102	126
მინერალური წყლები, მილიონი დეკალიტრი	12,6	90,4	96,6
უალკოჰოლო სასმელები ათასი დეკალიტრი	11,1	98,4	106

რესურსების ნაკლებობის პირობებში ზოგიერთი საწარმო კვლავ უშვებს უხარისხო პროდუქციას. 1988 წლის ცხრა თვეში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სახეაჭრობის ინსპექციამ დაიჭერა შემოწმებული რძის პროდუქტების 5,9 პროცენტი, ყველის 17,8 პროცენტი, თევზეულის 10,3 პროცენტი, საკონდიტრო და პურფუნთუშეულის ნაწარმის 6,6 პროცენტი, მაკარონის ნაწარმის 17,5 პროცენტი, ხილბოსტნეულის კონსერვების 12,8 პროცენტი, ჩაის 9 პროცენტი, კვერცხის 78,3 პროცენტი.

სახალხო მოხმარების არასასურსათო საქონლის წარმოება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 6,2 პროცენტით. უფრო დაწერილებითი მონაცემები მისი გამოშვების შესახებ მოგვყავს ქვემოთ:

	ფაქტობრივად 1988 წლის იანვარ-სექტემბერში	დაკვეთების შესრულება პროცენტში	1988 წლის იანვარ-სექტემბერი პროც. 1987 წლის იანვარ-სექტემბრთან შედარებით
ბამბის ქსოვილები მილიონი კვადრატული მეტრი	45,1	89	104
შალის ქსოვილები, მილიონი კვადრატული მეტრი	7,2	100,5	113
აბრეშუმის ქსოვილები, მილიონი კვადრატული მეტრი	37,7	100,2	106
ტრიკოტაჟის ნაწარმი, მილიონი ცალი	45,1	100,7	102
წინდები, მილიონი წყვილი	25,4	102	102
შეკერილი ნაწარმი, მილიონი მანეთისა	461	104	103
ფეხსაცმელი, მილიონი წყვილი	13,8	100,96	100,6
მათ შორის საბავშვო	6,7	104	104
ფერადგამოსახულებიანი ტელევიზორები ათასი ცალი	40,8	100,4	132
ავეჯი, მილიონი მანეთისა	116	96	103
საოჯახო საათი, ათასი ცალი	16,1	89	121
ფაიფურ-ჭაშანურისა და მაიოლიკის ჭურჭელი, მილიონი მანეთისა	9,2	100,6	126
შპალერი, მილიონი პირობითი ნაგები	20,4	97	107
სუფთა ქაღალდის საქონელი, მილიონი მანეთისა	27,2	106	103
ელექტროსაყოფაცხოვრებო ნაწარმის გალვანური ელემენტები და ბატარეები მილიონი ცალი	57,2	100,7	100

საწარმოთა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რაოდენობა ვერ ასრულებს მოსახლეობისათვის საქონლის გამოშვების ზრდის დავალებებს. ცხრა თვის შედეგების მიხედვით არასასურსათო საქონლის (მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გარდა) მოწოდების სახელმწიფო შეკვეთა ვერ შესრულდა საწარმოთა 12 პროცენტმა. იმ საწარმოთა ყველაზე მეტი რიცხვი, რომლებმაც დავალება ვერ შეასრულეს, მოდის რესპუბლიკის სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს წილად. საკვანძო დაქვემდებარების საწარმოებს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს გეგმის შესრულება, განეკუთვნებიან საწარმოო გაერთიანებანი: „ორგტექნიკა“, „საქელექტრომანქანა“, „ჩარხმშენებელი“, „მარგარინრეწვა“, „საქპოლიმერკონტაინერი“, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებანი: „საქსოფლმანქანა“, „თბილისელექტრომამრავი“, კასპის ავტომენტ-მიფერის კომბინატი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი და ელექტრომექანიკური, ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანის“, ქუთაისის ლითოფონის, თბილისის ელექტროტექნიკური ქარხნები.

კვლავ ჩამორჩენაა აგვიჯის, ბაბის ქსოვილების, საოჯახო საათების წარმოებაში.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში სახელმწიფოთა ვალდებულებანი დაარღვია 8 საწარმომ (ანუ საერთო რაოდენობის 14 პროცენტმა), რომლებმაც მომხმარებლებს დააკლეს 23,2 მილიონი მანეთის პროდუქცია და საქონელი.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა საცალო ფასებით გაიზარდა 8,9 პროცენტით, ეს მატება ძირითადად, მიღებულია სახელმწიფოს ფასებით რეალიზებული განსაკუთრებით მოდური ნაწარმის, საცალო ფასების დამატებით „ს“ ინდექსიანი გაუმჯობესებული ხარისხის საქონლის წარმოების გადიდების გზით. ამასთან შემცირდა მასობრივი მოთხოვნის მთელი რიგი საქონლის წარმოება.

რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო ორგანიზაციებმა ხარისხი მაზიაკლეს და გამოსასწორებლად დაანერნეს შემოწმებული ტყავის ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის ნაწარმის, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილებისა და მეკერილი ნაწარმის 18-28 პროცენტი. კვლავინდებურად დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებდნენ ცხინვალის ტრიკოტაჟის საცალის ფაბრიკა (34,7 პროცენტი), გორის ბამბეულის გაერთიანება (32,4 პროცენტი), თბილისის საბავშვო ტრიკოტაჟის ფაბრიკა (27,6 პროცენტი), ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი (21,3 პროცენტი), თბილისის ფეხსაცმლის გაერთიანება „ისანი“ (18,1 პროცენტი).

საცალო საქონელბრუნვა და ფასიანი მომსახურება. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვამ იანვარ-სექტემბერში შეადგინა 4532,9 მილიონი მანეთი და 356,1 მილიონი მანეთით ადეკვატურად იმას, ვიდრე იყო 1987 წლის იმავე პერიოდში. საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას მთლიანად რესპუბლიკაში საერთო მოცულობის მიხედვით დააკლდა 251,3 მილიონი მანეთი. საგეგმო დავალებათა შესრულება ვერ უზრუნველყვეს სავაჭრო ორგანიზაციებმა: საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსი (გეგმის შესრულებას დააკლდა 174,1 მილიონ მანეთამდე), ცეკავშირისა (60 მილიონი მანეთი), სახაგრომრეწვისა (14,6 მილიონი მანეთი).

ცალკეული საქონლის გაყიდვას სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები (შესადარი ფასებით; მილიონი მანეთისა):

	გაყიდვა 1988 წლის იანვარ-სექტემბერში	1988 წლის სექტემბერი ანგარიშით 1987 წლის იანვარ-სექტემბრის საშუალოსთან შედარებით
ხორცი და ხორცეული	325,9	119
თევზი და თევზეული	30,8	82
ერბო-კარაქი	98,6	111
მცენარეული ზეთი	19,2	93
მარგარინის პროდუქცია	7,8	91
მოუხდელი რძის პროდუქცია	56,9	95
ყველი	33,3	98,8
კვერცხი	40,9	100,7
შაქარი	132,1	112
საკონდიტრო ნაწარმი	102,7	109
ჩაი	5,9	98
პურპროდუქტები, ათასი ტონა	626,8	94
კარტოფილი, ათასი ტონა	69,9	128
ბოსტნეული, ათასი ტონა	112,2	147
ხილი და ციტრუსები, ათასი ტონა	8,6	58
უალკოჰოლო სასმელები ათასი დეკალიტრი	13,8	113
მინერალური წყლები, ათასი დეკალიტრი	4,4	133
ხილისა და ბოსტნეულის წვენები, მილიონი პირობითი ქილა	30,7	113
არაყი და ლიქიორ-არაყის ნაწარმი, ათასი დეკალიტრი	242,8	90
ყურძნის ღვინო, ათასი დეკალიტრი	1689,6	141
შამპანური, ათასი დეკალიტრი	277,1	116
კონიაკი, ათასი დეკალიტრი	30,2	126
ლუდი, ათასი დეკალიტრი	5418,6	126
თამბაქოს ნაწარმი	89,4	93
ტანსაცმელი, საცვალი და ქსოვილები	368,3	108
ტრიკოტაჟის ნაწარმი	174,0	107
წინდები	43,9	114
ტყავის ფეხსაცმელი	144,1	96,8
ფაიფურ-ჭაშანურის, -მაიოლიკისა და მინის ჭურჭელი	54,8	94
საპონი და სინთეზური სარეცხის საშუალებები	26,5	119
ავეჯი	94,0	97
მაცივრები და საყინავები მილიონი ცალი	58,7	110
მათ შორის 200 კუბური დეციმეტრი და მეტი ტევადობის კამერიანი	41,4	103
სარეცხი მანქანები, ათასი ცალი	102,6	110
ელექტრომტვერსასრუტები, ათასი ცალი	42,9	114
საათები, ათასი ცალი	504,0	101
ფოტოაპარატები, ათასი ცალი	17,2	103
რადიომიმღები მოწყობილობა, ათასი ცალი	47,8	92
ტელევიზორები, ათასი ცალი	125,8	109
მათ შორის ფერადი გამოსახულებისა	51,2	115
მაგნეტოფონები ათასი ცალი	49,1	99,6
სპორტული საქონელი (ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გარდა)	19,4	106
ველოსიპედები და მოპედები, ათასი ცალი	40,9	102
მოტოციკლები და მოტოროლერები, ათასი ცალი	3,6	92
მსუბუქი ავტომობილები მიმდინარე წარმოების ხარჯზე, ათასი ცალი	9,0	86
ხე-ტყის მასალა, ათასი კუბური მეტრი	239	74
შიფერი, მილიონი პირობითი ფილა	92	108
ავტომობილის ბენზინი, ათასი ტონა	401	109

გაყიდვის მოცულობის ზრდის მიუხედავად კვლავინდებურად მწვავეა კვების ბევრი პროდუქტი, განსაკუთრებით ხორცით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა.

მოსახლეობისათვის მაყიდული ხორცისა და ფრინველის საერთო მოცულობიდან 49 პროცენტი ეგზავნება საცალო სავაჭრო ქსელს, 32 პროცენტი — სახოგადოებრივი კვების საწარმოებს და 19 პროცენტი — სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, საავადმყოფოებს, სპბავშვო დაწესებულებებს.

საკოლმეურნეო ბაზრის ფასები (რესპუბლიკის ოთხ ქალაქში — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში) კვების პროდუქტებზე 9 თვის განმავლობაში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 1,1 პროცენტით გაიზარდა, პურპროდუქტებზე — 12,2 პროცენტით, ბოსტნეულზე — 3,2 პროცენტით, ხორცსა და ფრინველზე — 0,9 პროცენტით. კარტოფილის ფასი 7,5 პროცენტით შემცირდა. საკომერციო ბაზრების ფასების დონე საშუალოდ 2,7-ჯერ აღემატება სახელმწიფო საცალო ფასებს, ცალკეული სახეობის პროდუქტებისაკი 3-5-ჯერ. ვაჭრობა იღებს მეტ მოგებას საქონელს, რომელიც გადიდებული მოთხოვნილებით სარგებლობს. ამავე დროს იგრძნობა ცალკეული სახეობის შეკერილი, ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ფეხსაცმლის ნაკლებობა. მოსახლეობელები მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიდან ბოლო დროს ავეჯის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის, ტელე-რადიოაპარატურის, სპბავშვო ასორტიმენტის საქონლის, საოჯახო და იფფფსიანი ხელსაბანი საპნის, სინთეზური სარეცხი საშუალებების შეძენის დროს.

არ ემყოფილდება მოთხოვნა მრავალი სახეობის ხე-ტყისა და საშენ მასალაზე განსაკუთრებით ადგილობრივი წარმოების მასალებზე.

მოსახლეობისათვის გაწეულმა ფასიანი მომსახურების მოცულობამ შეადგინა 746,4 მილიონი მანეთი და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 83,5 მილიონი მანეთით გაიზარდა. მისი რეალიზაციის გეგმა ვერ შესრულეს აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, ასპინძის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ქარელის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლენინების, მარნეულის, მახარაძის, მესტიის, საგარეჯოს, ხაშურისა და წულუკიძის რაიონებმა.

რესპუბლიკის 54 სამინისტროდან და უწყებიდან და საკავშირო დაქვემდებარების 242 გაერთიანებებიდან, საწარმოდან და ორგანიზაციიდან, რომლებსაც მიეცემული ჰქონდათ ფასიანი მომსახურების რეალიზაციის სახელმწიფო გეგმა, თავი ვერ გაართვეს შესაბამისად 9 და 60. ყველაზე მეტად გეგმის შესრულებაში გაორვეეგა დაუშვეს საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების სამმა, სახალხო განათლების სამინისტრომ, „საქქიანახშირის“ საწარმოო გაერთიანებამ, საქართველოს „დინამოს“ სამმა, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქმოგარწყალმშენება, სახკომმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ.

ეკონომია და მომსახურების სფეროს საწარმოოა უმრავლესობა უშინდებულად მუშაობს მშრომელთა ძირითადი მასისათვის მოუხერხებელ დროს. საქართველოს სსრ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მიერ მოწყობილი გამოკვლევის თანახმად სახელმწიფო ვაჭრობის არასასურსათო მაღაზიების 97 პროცენტი და სასურსათო მაღაზიების დაახლოებით მეოთხედი მოსახლეობის მომსახურებისათვის იხსნება 9 საათის შემდეგ, იკეტება 20 საათამდე, შესაბამისად, ეს არის 77 და 35 პროცენტი. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოოა მხოლოდ 10 პროცენტე უშვებს მოსახლეობას მომსახურებას ორ ცვლად. ამავე დროს მხოლოდ 5 პროცენტია 24 საათამდე. ერთცვლიანი საწარმოებიდან 50 პროცენტზე მეტი შეკვეთებს იღებს 9-დან 17 საათამდე.

